

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

2023



**ელექტოენერჯიის
ბაზრის მიმოხილვა**



ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

აკტორი:

ერეკლე შუბითიძე
უფროსი მკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- ელექტროენერჯის გამომუშავება 1%-ით გაიზარდა, რაც ჰესების (+1%) და თბოსადგურების (+2%) გამომუშავების ზრდამ განაპირობა.
- ელექტროენერჯის წყაროებს შორის წამყვანი კვლავ ჰიდროენერჯია იყო, რომელზეც გამომუშავების თითქმის 75.5% მოდიოდა.
- ელექტროენერჯის გამომუშავებამ მოხმარებას 1,326 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა.
- წინა წელთან შედარებით ელექტროენერჯის იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა (-48%), რომლის უდიდესი ნაწილი რუსეთიდან შემოვიდა და მეტწილად აფხაზეთს მოხმარდა.
- წინა წელთან შედარებით საქართველოს ექსპორტი მნიშვნელოვნად (+51%) გაიზარდა და მეტწილად თურქეთში გავიდა.
- იმპორტის საშუალო შეწონილი ფასი 96%-ით შემცირდა 2022 წელთან შედარებით.
- 2022 წელთან შედარებით, ექსპორტის საშუალო შეწონილი ფასი 29%-ით შემცირდა.
- 2023 წელს საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი (HHI) მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ასცდა.
- ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსის (HHI) მიხედვით, საქართველოს ელექტროენერჯის სამომხმარებლო ბაზარი კვლავ კონცენტრირებულია.


შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰესი	ჰიდროელექტროსადგური
თესი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მინოდებისთვის
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ესკო	ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი

1. წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2023 წელს საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 14,396 მლნ. კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა, რაც წლის წლიური გამომუშავების რეკორდული მაჩვენებელია. აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 1%-იან ზრდას წარმოადგენს (2022 წელს სრული წარმოება 14,247 მლნ. კილოვატსაათი იყო) (დიაგრამა 1). ელექტროენერჯის წარმოების წლიური ზრდა ჰიდროელექტროსადგურების (+1%) და თბოელექტროსადგურების (+2%) და მიერ გამომუშავებული ენერჯის წარმოების ზრდამ განაპირობა, მაშინ როცა ქარის ელექტროსადგურების (-2%) წარმოება შემცირდა.


დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის წარმოება და წლიური ზრდის მაჩვენებელი



წყარო: ესკო

წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. ჰიდროელექტროსადგურებში წარმოებული ელექტროენერჯის წლიურმა მაჩვენებელმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. 2023 წელს ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 10,863 მლნ. კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 75.5%); ქარის ელექტროსადგურების წარმოება - 86 მლნ. კილოვატსაათს (სრული წარმოების 0.6%); თბოელექტროსადგურების (თესების) წარმოება - 3,447 მლნ. კილოვატსაათს (სრული წარმოების 23.9%).

დიაგრამა 2 - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით




წყარო: ესკო

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 13,070 მლნ. კილოვატსაათი შეადგინა. მთლიანობაში, მოხმარებული ელექტროენერჯია 2023 წელს 8%-ით შემცირდა 2022 წელს არსებულ 14,181 მლნ. კილოვატსაათთან

შედარებით (დიაგრამა 3). 2023 წელს, გამომუშავებულმა ელექტროენერჯიამ, მოხმარებას 1,326 მლნ. კილოვატსაათით გადააჭარბა (ჰესების და თბოელექტროსადგურების რეკორდულად მაღალი გამომუშავების მეშვეობით), რაც სრული წარმოების 9.2%-ს, ხოლო მოხმარების 10.1%-ს შეადგენდა (2022 წელს წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობამ 65 მლნ. კილოვატსაათი შეადგინა, რაც 2022 წელს სრული წარმოების 0.5%-ს, ხოლო სრული მოხმარების 0.5%-ს გაუტოლდა).


დიაგრამა 3 - ელექტროენერჯის მოხმარება და წლიური ზრდის მაჩვენებელი



წყარო: ესკო

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია¹ (34% - 4,440 მლნ. კილოვატსაათი), თელასი (23.7% - 3,132 მლნ. კილოვატსაათი), აფხაზეთი (20.7% - 2,703 მლნ. კილოვატსაათი) და პირდაპირი მომხმარებლები (21.3% - 2,779 მლნ. კილოვატსაათი) (დიაგრამა 4). წლიური მოთხოვნა თელასისგან (+4%) და ენერგო-პრო ჯორჯიასგან/ეპ ჯორჯიასგან (+1%) გაიზარდა, ხოლო აფხაზეთისგან (-11%) და პირდაპირი მომხმარებლებისგან (-25%) შემცირდა.

დიაგრამა 4 - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით




წყარო: ესკო

¹ 2017 წლის სექტემბერში, ენერგო-პრო ჯორჯიამ კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.


2023 წელს საქართველომ 790 მლნ. კილოვატსაათი ელექტროენერჯის იმპორტი განახორციელა (აღნიშნული მაჩვენებელი 48%-ით ნაკლებია 2022 წელს იმპორტირებულ 1,533 მლნ. კილოვატსაათთან შედარებით) (დიაგრამა 5). ზედიზედ მესამე წლის განმავლობაში, რუსეთი მთავარი იმპორტიორი იყო. ენერჯის 98.7% რუსეთიდან შემოვიდა (საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ელექტროენერჯის 99.6% აფხაზეთს მიეწოდა), თურქეთიდან - 0.1%, ხოლო აზერბაიჯანიდან - 0.3% (დიაგრამა 6).

დიაგრამა 5 - იმპორტი და წლიური ზრდის მაჩვენებელი



წყარო: ესკო


დიაგრამა 6 - იმპორტი ქვეყნების მიხედვით



წყარო: ესკო


2023 წელს ელექტროენერჯის ექსპორტი 51%-ით გაიზარდა, 2022 წელს არსებული 971 მლნ. კილოვატსაათიდან, 1,468 მლნ. კილოვატსაათამდე (დიაგრამა 7). ელექტროენერჯის ექსპორტში მთავარი პარტნიორი თურქეთი იყო, სადაც ექსპორტირებული ენერჯის 88.8% გავიდა. თურქეთის შემდეგ, ექსპორტირებული ენერჯის ყველაზე დიდი ნაწილი აზერბაიჯანში (5.9%) და სომხეთში (5.4%), დარჩენილი 0.01% კი - რუსეთში გავიდა (დიაგრამა 8).

დიაგრამა 7 - ექსპორტი და წლიური ზრდის მაჩვენებელი



წყარო: ესკო


დიაგრამა 8 - ექსპორტი ქვეყნების მიხედვით



წყარო: ესკო

2023 წელს ელექტროენერჯის იმპორტის საშუალო შეწონილი ფასი წლიურად 96%-ით შემცირდა (2022 წელს არსებული 8.17 თეთრიდან კილოვატსაათზე - 0.36 თეთრამდე კილოვატსაათზე). 2023 წელს ელექტროენერჯის ექსპორტის საშუალო შეწონილი ფასი წლიურად 29%-ით შემცირდა (2022 წელს არსებული 25.17 თეთრიდან კილოვატსაათზე - 17.99 თეთრამდე კილოვატსაათზე) (დიაგრამა 9).

დიაგრამა 9 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები




წყარო: ესკო

2. ბაზრის კონცენტრაცია

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს ვიყენებთ იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. როგორც დიაგრამა 10-ზეა ნაჩვენები, 2023 წელს საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზრის ინდექსი კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ასცდა (HHI 2,718 ერთეული). აღნიშნული კი აღემატება 2022 წელს არსებულ მაჩვენებელს (2,328).


დიაგრამა 10 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრისთვის HHI მოხმარების ინდექსი ისტორიულად 2500 ერთეულზე მაღლა ნარჩუნდებოდა, რაც ბაზრის მაღალკონცენტრირებულობაზე მიუთითებს, 2019 წელს ბაზრის გახსნამდე.² ბაზრის გახსნის შემდეგ უკვე მეხუთე წელია, რაც ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრისთვის HHI ინდექსის მაჩვენებელი ზღვრულ მნიშვნელობაზე, 2500-ზე დაბალია. 2023 წლის HHI ინდექსის თანახმად, საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზარზე მოთხოვნა კონცენტრირებული იყო, HHI ინდექსი კი 2,212 ერთეულს გაუტოლდა. აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წლის მაჩვენებელზე (1,942) მაღალია.

დიაგრამა 11 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ისკო

² მას შემდეგ, მსხვილმა მოხმარებლებმა ბაზარზე ელექტროენერჯის შექმნა, პირდაპირი მოხმარებლების სახით დაიწყეს. HHI ინდექსის შემცირების მთავარი მიზეზიც სწორედ ბაზარზე ბევრი ინდივიდუალური მოხმარებლის შემოსვლაა.